ოქმი:**ო37. 3723023001**

თარიღი:**23/01/2023**

ოქმი # 1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს მორიგი სხდომის

2023 წელი 20 იანვარი

ქ. ოზურგეთი

17.00-18.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია-საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები: ლ. ბიგვავა, ტ. არუშიძე, ქ. ხომერიკი, ნ. ჭანიშვილი, მ. ჩხიკვიშვილი, ბ. თოიძე, გ. ჩავლეშვილი, დ. ჭაკნელიძე, პ. კიღურაძე.

სხდომის თავმჯდომარე დ. დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრე პირებს, მათ მიაწოდა კვორუმზე ინფორმაცია, 12 წევრიდან სხდომას ესწრება 10 წევრი, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. შემდეგ ბიუროს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N19 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის N16 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

პაატა კიღურაძე

5. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობების შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

6. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ამომრჩეველთა არანაკლებ 0.5%-ის მიერ ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი პეტიციის, გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე წარწერის ,,მამული, ენა, სარწმუნოება“ დაბრუნებასთან დაკავშირებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ პეტიციის განხილვის შედეგების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის ინფორმაციის წარდგენის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

7. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

8. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

9. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ქეთევან ხომერიკი

10. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: დავით ჭაკნელიძე

11. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2023 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ბექა თოიძე

12. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის I კვარტლის სამუშაო გეგმისა და სამუშაო პროგრამის დამტკიცების შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

13. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

14. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 23 დეკემბრის N33 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გელა ჩავლეშვილი

15. **სხვადასხვა საკითხები (მიმართვები, განცხადებები ა.შ).**

გადაწყვიტეს:

1.ბიუროს დღის წესრიგში წარმოდგენილი N1,2,3,4,5,6,13,14 საკითხები შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის ტარიელ აროშიძის წინადადებით საკრებულოს წევრის მიერ მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ზღვრული ოდენობა განისაზღვროს 800 (რვაასი) ლარის ოდენობით.

3. დამტკიცდეს საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა 2023 წლის სამუშაო გეგმები.

4. გასწორდეს „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის“ - სახელწოდებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ საკითხთა, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია“, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს საკრებულოს რეგლამენტსა და კომისიის დებულებაში.

5. გასწორდეს -„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის“ სახელწოდებაში დაშვებული ტექნიკური შეცდომა და იგი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული მოწყობისა და ინფრასტრუქტურის კომისია“, შესაბამისი ცვლილებები განხორციელდეს საკრებულოს რეგლამენტსა და კომისიის დებულებაში.

დავით დარჩია

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი